Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება №28/1

ქ. თბილისი                                                                 24 მაისი 2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „მაგთი" (შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისთვის სამოსის, კაბის და მამაკაცის ჯემპრის /18300000/ (შესყიდვის საგანი) შეძენა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საშუალებით.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 20.00 (ოცი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წ 24 მაისიდან 2012 წ 10 ივნისამდე (ხელშეკრულების გაფორმების ვადები).

3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## 4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;
4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.
-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2012 წ 10 აპრილამდე (ხელშეკრულების მოქმ. ვადა).

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური

კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

ს/კ 201948928

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182

სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502,

ა/ა 123361000

თეატრის მმართველი

დავით დოიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს "მალი"

მისამართი: თბილისი, ცაგარელის ?.

საიდენტიფიკაციო კოდი: 204501226

ტელ:

ბანკის ანგ :

„მიმწოდებელი"

დირექტორი

ხელმოწერა